



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №39

ჩაქვი

25 " მაისი " 2018 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საშტატო ნუსხის დამკვიცების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 იანვრის N 08 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამკვიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის და კომიტეტის აპარატის უფლებამოსილებას იძენს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია და კომისიის აპარატი, ხოლო კომისიის თავმჯდომარე-კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 48-ე მუხლის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, ამავე რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საშტატო ნუსხის დამკვიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 იანვრის N 08 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების დანართი (საშტატო ნუსხა) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას დაევალოს საკადრო საკითხს მიკუთვნებული შესაბამისი აქტების ამ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. ბრძანების ასლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა დაევალოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე